

**შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“
ფინანსური ანგარიშგება**

**საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2022 წლის 31 დეკემბერს**

შპს „შპს სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
განმარტებით შენიშვნები	7-14

შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	შენიშვნა	2022	2021	2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		113 858	111 472	77 114
საინვესტიციო ქონება				
მონაწილეობა სხვა საწარმოში				
სულ გრძელვადიანი აქტივები		113 858	111 472	77 114
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები		428 397	131 949	70 066
სავაჭრო მოთხოვნები		506 149	323 301	257 049
გადახდილი ავანსები		44 400		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		419 264	468 253	315 257
სხვა მიმდინარე აქტივები				
სულ მიმდინარე აქტივები		1 398 210	923 503	642 372
სულ აქტივები		1 512 068	1 034 975	719 486
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		157 096	157 096	157 096
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		1 083 953	626 550	258 859
სულ საკუთარი კაპიტალი		1 241 049	783 646	415 955
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		206 846	162 598	210 944
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
სხვა ვალდებულებები		64 173	88 731	92 587
სულ ვალდებულებები		271 019	251 329	303 531
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 512 068	1 034 975	719 486

დირექტორი:

ბუღალტერი:



7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარებში)

შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	2 788 986	2 524 224
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2 017 384)	(1 884 920)
საერთო მოგება	771 602	639 304
სხვა საოპერაციო შემოსავლები	102 355	3 332
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(351 286)	(274 945)
ფინანსური შემოსავალი		
საოპერაციო მოგება	522 671	367 691
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)	(11 591)	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)	(54 054)	
სავალუტო ოპერაციებიდან		
მოგება დაბეგვრამდე	457 026	367 691
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება	457 026	367 691
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	457 026	367 691

დირექტორი:

ბუღალტერი:

სსსსსს
6.4/1



7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

საოპერაციო საქმიანობა

მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული
ფულადი სახსრები
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

2022	2021
2 787 744	2 856 575
(2 537 765)	(2 820 937)
46 469	26245
296 448	61 883

ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის
განმავლობაში

296 448	61 883
----------------	---------------

ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის
ფულადი სახსრები წლის ბოლოს

131 949	70 066
428 397	131 949

დირექტორი:

ბუღალტერი:



7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი - 31.12.2020 წ.	157 096	258 859	415 955
2021 წლის წმინდა მოგება /(ზარალი)			
ნაშთი - 31.12.2021 წ.	157 096	626 550	783 646
2022 წლის წმინდა მოგება/ (ზარალი)			
ნაშთი - 31.12.2022 წ.	157 096	1 083 953	1 241 049

დირექტორი:

ბუღალტერი:

ს.სანაძე
ბ.ყაიბაძე



7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ზოგადი ინფორმაცია

შპს "სანო ცხოველთა თანამედროვე კვება" დაფუძნდა 2011 წლის 27 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის შესაბამისი წილის მმართველები არიან:

-შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

Bernhard Waldinger GmbH, HRB 8998 /გერმანია/ 80%

-სოფია სანაძე (01026000049) 20%

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის უფლებამოსილი პირია: სოფია სანაძე - დირექტორი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა ცხოველების საკვებით

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბელინსკი/ხოშტარის ქ. 47/17 ბ,17

მომზადების საფუძვლები ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს („ბასსს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ის სტანდარტების) მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 21 აგვისტოს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ბ) ფინქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- სასამართლო დავები. კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას. მსს ფასს-ების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადაწყვეტილების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	15
ოფისის სტრუქტურა	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
მანქანა-დანადგარები	15

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას ცვეთის გაანგარიშება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოყენებად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მათ საბალანსო ღირებულებას შორის.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიხვრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იხვრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხვრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იხვრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ

შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იზეგრება 15/85 პროპორციით. გარდა ამისა კომპანია არ იხდის მოგების გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ ახორციელებს მოგების განაწილებას დივიდენდის სახით 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან. რის გამოც მოგების გადასახადის ხარჯი არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ვალდებულებები

ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და წარმოშობილია მიღებული მომსახურებისა და შეძენილი საქონლისთვის.

ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია, ასახულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2020 შემოსვლა	61 260		18 923	5 055	85 238
გასვლა	37 314	44 983	589	4 864	87 750
	(25 527)		(11 243)		(36 770)
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	73 048	44 983	8 269	9 919	136 219
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(5 850) -		(1 470)	(805)	(8 124)
ცვეთა 2020	(8 682)	(3 152)	(1 304)	(1 098)	14 236
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	(14 532)-		(2 774)	(1 903)	(22 361)
საბალანსო ღირებულება					
საბალანსო ღირებულება 31.12. 2020	55 410		17 453	4 250	77 114
საბალანსო ღირებულება 31.12. 2022	58 515	41 832	5 495	8 016	113 858

შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფულადი სახსრები ფულადი სახსრები გულისხმობს ფულს საბანკო ანგარიშებზე და დეპოზიტებს ბანკებში მოთხოვნამდე.

	2022	2021	2020
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	95 588	98 687	22 178
ფული საბანკო ანგარიშზე (ევრო)			
ექვ. ლარში	249 121	27 829	41 057
ფული საბანკო ანგარიშზე (დოლარი) ექვ. ლარში	81 910		
სულ	426 619	126 516	63 235

სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდინარე აქტივები

	2022	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	506 149	323 301	257 049
გადახდილი ავანსები	44 400		
სხვა მიმდინარე აქტივები			
სულ	550 549	323 301	257 049

შემოსავალი რეალიზაციიდან კომპანიის მიერ ძირითადი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2022 წელს შეადგინა 2 788 986 ლარი, 2021 წელს - 2 524 224 ლარი, 2020 წელს 1 687 380 ლარი

შემოსავალი	2022	2021	2020
საქონლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი	2 788 986	2 524 224	1 687 380
მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი			
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	(2 017 384)	(1 884 920)	(1 286 349)
სულ	771 602	639 304	401 031

შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ადმინისტრაციული ხარჯები ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

#	ხარჯების დასახელება	2022	2021
7310	რეკლამის ხარჯები	21 187	6 611
7390	მიწოდების სხვა ხარჯები	600	632
7410	შრომის ანაზღაურება ადმინისტრაცია	113 940	110 474
7411	შრომის ანაზღაურება გაყიდვებიდან	33 102	26 982
7412	ფიზიკური პირების ერთჯერადი ანაზღაურება	9 863	15 205
7415	სოციალური დანარიცხები საპენსიო ფონდში	3 287	3 109
7420	საიჯარო ქირა	46 813	33 210
7421	ავტომანქანების იჯარა	13 875	13 838
7425	სალარო აპარატის მომსახურება	553	186
7426	საკანცელარიო ხარჯები	408	18
7427	საოფისე ხარჯები	785	2 262
7430	კომუნიკაციის ხარჯები	753	153
7440/1	საწვავის ხარჯები	37 432	24 642
7440/2	ავტომანქანების მომს ხარჯები	10 274	7 156
7440/3	ავტომანქანის დაზღვევის ხარჯები	3 583	2 852
7445	კომპიუტერის ხარჯები	93	423
7450	საკონსულტაციო ხარჯები	15 695	1 775
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	8 504	5 732
7460	საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	937	1 626
7465	სხვა საგადასახადო ხარჯები	1 477	1 216
7470	საბანკო ხარჯები(გარდა კონვერტაციისა)	2 713	3 115
7471	საბანკო ხარჯები კონვერტაციისას	20 548	11 783
7475	მივლინების ხარჯები	3 571	1 130
7485	წარმომადგენლობითი ხარჯები	522	436
7490	სხვა საერთო ხარჯები	770	380
		351 286	274 945

შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ბოტენციური ვალდებულებები

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოში

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ახალი კორონავირუსის პირობებში წარმოქმნილი რისკების გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე არ აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას ექნებოდა სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები, მაშინ იგი სათანადოდ ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ოპარაციებს, თუ ამ ოპარაციებს არსებითი გავლენა ექნებოდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

12. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რეალიზაციას არა თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

შპს „სანო ცხოველთა თანამედროვე კვება“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია. დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიის დაარსებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დირექტორზე გასაცემი ხელფასის დავალიანება შეადგენდა 41653 ლარს, რაც აიხსნება იმით რომ კომპანიას ქონადა უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობა თანხის დაზოგვის მიზნით. აღნიშნული დავალიანება გაცემული იქნა ეტაპობრივად და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფარულია სრულად.

დირექტორზე გაცემული ანაზღაურება

	2022	2021	2020
შრომის ანაზღაურება მთლიანად	68850	28031	21875